

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

დეკემბერი 2024

RAMADA[®]
BY WYNDHAM

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. შეფასებები და დაშვებები	21
5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	22
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	25
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
8. ფული და ფულადი სახსრები	25
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
10. გრძელვადიანი სესხი	26
11. ამონაგები	26
12. თვითღირებულება	26
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	27
13. რისკების მიმოხილვა	27
• საბაზრო რისკი	27
• საკრედიტო რისკი	27
• ლიკვიდურობის რისკი	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აისი“-ს პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აისი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს შპს „აისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით ვერ მოვიპოვეთ სათანადო რწმუნება მარაგების ნაშთებთან დაკავშირებით, რომელიც შპს „აისი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 854,992 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრისათვის 780,957 ლარს). მენეჯმენტის განმარტებით, სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა პერიოდის ბოლოს, ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი ნაშთების დადასტურება. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

გარდა ზემოთხსენებულისა ვერ ვადასტურებთ საგადასახადო აქტივების ნაშთს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 81,246 ლარს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი შპს „აისი“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის(შემდგომში IESBA კოდექსი“) შესაბამისად, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს “აისი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი

იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს “აისი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს “აისი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ



Financial Experts Corporation
88, V. Gorgasali str, Batumi, 6010, Georgia
www.fec.ge, info@fec.ge
+995 422 22 77 11, +995 577 02 01 10

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „აისი“-ს მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ.#SARAS-A-728904)

1 ოქტომბერი 2025 წელი
ბათუმი, საქართველო

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „აისი“-ს მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ#SARAS-A-728904)

1 ოქტომბერი 2025 წელს
ბათუმი, საქართველო



შპს აისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	შენიშვნები	2024	2023 გადაანგარიშებული	2022 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	14,724,154	15,522,676	15,883,452
არამატერიალური აქტივები	5	159,292	173,027	186,716
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		14,883,445	15,695,703	16,070,168
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	854,992	780,957	659,948
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	268,824	276,809	606,864
საგადასახადო აქტივი		81,246	214,649	42,349
ფული და ფულადი სახსრები	8	202,850	341,801	399,279
მიმდინარე აქტივების ჯამი		1,407,912	1,614,216	1,708,440
სულ აქტივები		16,291,357	17,309,919	17,778,608
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,430,747	2,764,958	2,814,614
გაუნაწილებელი მოგება		(1,217,275)	(368,582)	(4,007,418)
მოგება/ზარალი		(20,632)	(848,693)	3,638,836
კაპიტალის ჯამი		1,192,840	1,547,683	2,446,032
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	10	13,519,448	13,476,450	14,814,574
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		13,519,448	13,476,450	14,814,574
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	536,098	468,888	248,605
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	1,042,971	1,816,899	269,397
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		1,579,069	2,285,787	518,002
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,291,357	17,309,919	17,778,608

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

ა. მახარაძე



შპს აისი


სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
ამონაგები	11	8,828,715	7,315,221
თვითღირებულება	12	(3,632,058)	(2,970,961)
საერთო მოგება		5,196,657	4,344,259
სხვა შემოსავლები		-	-
სხვა ხარჯები		-	-
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		(163,971)	(205,017)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(4,071,801)	(3,467,792)
საოპერაციო მოგება		960,885	671,450
არასაოპერაციო შემოსავალი		127,601	47,336
არასაოპერაციო ხარჯი		(49,806)	(30,073)
ფინანსური ხარჯი		(1,218,135)	(1,082,275)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		158,823	(455,131)
მოგება დაბეგვრამდე		(20,632)	(848,693)
მთლიანი სრული შემოსავალი		(20,632)	(848,693)

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

ა. მახარაძე



შპს აისი


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	ჯამი
31.12.2022	2,814,614	(368,582)	2,446,032
კაპიტალში შენატანში			-
განაწილება კაპიტალიდან	(49,656)		(49,656)
მოგება/(ზარალი)		(848,693)	(848,693)
31.12.2023	2,764,958	(1,217,275)	1,547,683
კაპიტალში შენატანში			-
განაწილება კაპიტალიდან	(334,211)		(334,211)
მოგება/(ზარალი)		(20,632)	(20,632)
31.12.2024	2,430,747	(1,237,908)	1,192,840

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

ა. მახარაძე



შპს აისი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	9,693,404	8,301,615
მიღებული ავანსი	576,463	447,005
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(3,730,978)	(3,009,287)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(2,317,457)	(1,982,911)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(1,884,346)	(1,681,913)
საპენსიო სააგენტო	(98,110)	(90,450)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(4,532)	(197,684)
ავანსის სახით გადახდილი	(115,400)	(391,260)
საბანკო ხარჯი	(178,837)	(79,486)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,940,207	1,315,630
საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
მიღებული პროცენტი	2,299	2,693
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,299	2,693
საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
სადამფუძნებლო შენატანები	-	-
კაპიტალის შემცირება	(334,211)	(49,656)
სესხის აღება	15,534,300	527,652
სესხის გადახდა	(16,105,404)	(766,000)
პროცენტის გადახდა	(1,220,435)	(1,084,971)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,125,750)	(1,372,975)
საწყისი ფულადი ნაშთი	341,801	399,279
ფულისა და ფულადი ექვივალენტების ცვლილება	(183,243)	(54,653)
სავალუტო ცვლილების ეფექტი	44,292	(2,826)
საბოლოო ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ნაშთი	202,850	341,801

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

ა. მახარაძე



შპს აისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	პენიშნები	2024	2023 გადაანგარიშებული	2022 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	14,724,154	15,522,676	15,883,452
არამატერიალური აქტივები	5	159,292	173,027	186,716
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		14,883,445	15,695,703	16,070,168
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	854,992	780,957	659,948
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	268,824	276,809	606,864
საგადასახადო აქტივი		81,246	214,649	42,349
ფული და ფულადი სახსრები	8	202,850	341,801	399,279
მიმდინარე აქტივების ჯამი		1,407,912	1,614,216	1,708,440
სულ აქტივები		16,291,357	17,309,919	17,778,608
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,430,747	2,764,958	2,814,614
გაუნაწილებელი მოგება		(1,217,275)	(368,582)	(4,007,418)
მოგება/ზარალი		(20,632)	(848,693)	3,638,836
კაპიტალის ჯამი		1,192,840	1,547,683	2,446,032
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	10	13,519,448	13,476,450	14,814,574
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		13,519,448	13,476,450	14,814,574
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	536,098	468,888	248,605
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	1,042,971	1,816,899	269,397
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		1,579,069	2,285,787	518,002
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,291,357	17,309,919	17,778,608

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: ა. მახარაძე

შპს აისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
ამონაგები	11	8,828,715	7,315,221
თვითღირებულება	12	(3,632,058)	(2,970,961)
საერთო მოგება		5,196,657	4,344,259
სხვა შემოსავლები		-	-
სხვა ხარჯები		-	-
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		(163,971)	(205,017)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(4,071,801)	(3,467,792)
საოპერაციო მოგება		960,885	671,450
არასაოპერაციო შემოსავალი		127,601	47,336
არასაოპერაციო ხარჯი		(49,806)	(30,073)
ფინანსური ხარჯი		(1,218,135)	(1,082,275)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		158,823	(455,131)
მოგება დაბეგვრამდე		(20,632)	(848,693)
მთლიანი სრული შემოსავალი		(20,632)	(848,693)

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: ა. მახარაძე

შპს აისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	ჯამი
31.12.2022	2,814,614	(368,582)	2,446,032
კაპიტალში შენატანში			-
განაწილება კაპიტალიდან	(49,656)		(49,656)
მოგება/(ზარალი)		(848,693)	(848,693)
31.12.2023	2,764,958	(1,217,275)	1,547,683
კაპიტალში შენატანში			-
განაწილება კაპიტალიდან	(334,211)		(334,211)
მოგება/(ზარალი)		(20,632)	(20,632)
31.12.2024	2,430,747	(1,237,908)	1,192,840

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: ა. მახარაძე

შპს აისი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	9,693,404	8,301,615
მიღებული ავანსი	576,463	447,005
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	(3,730,978)	(3,009,287)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	(2,317,457)	(1,982,911)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(1,884,346)	(1,681,913)
საპენსიო სააგენტო	(98,110)	(90,450)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(4,532)	(197,684)
ავანსის სახით გადახდილი	(115,400)	(391,260)
საბანკო ხარჯი	(178,837)	(79,486)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,940,207	1,315,630
საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
მიღებული პროცენტი	2,299	2,693
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,299	2,693
საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები		
სადამფუძნებლო შენატანები	-	-
კაპიტალის შემცირება	(334,211)	(49,656)
სესხის აღება	15,534,300	527,652
სესხის გადახდა	(16,105,404)	(766,000)
პროცენტის გადახდა	(1,220,435)	(1,084,971)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,125,750)	(1,372,975)
საწყისი ფულადი ნაშთი	341,801	399,279
ფულისა და ფულადი ექვივალენტების ცვლილება	(183,243)	(54,653)
სავალუტო ცვლილების ეფექტი	44,292	(2,826)
საბოლოო ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ნაშთი	202,850	341,801

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

ა. მახარაძე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები



შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნდა 2011 წლის 17 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 445395153.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გორგასალის ქ., №149-151-153 / საქართველო, ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ., №29-31.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ორი მესაკუთრე: ომარ მახარაძე, 61002005100, 50%-იანი წილის მფლობელი; ადამ მახარაძე, 61006003414, 50%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს მომსახურება.

კომპანიის ღირებულებები: ამირან მახარაძე, 61006006407 , თინათინ მაკარაძე-მახარაძე, 61002006464.

კომპანიას გააჩნია 2 ფილიალი, ქალაქ ბათუმსა და ქალაქ თბილისში. კომპანიის თბილისში არსებული ფილიალი ფუნქციონირებს ვინდჰემ რამადას სახელის ქვეშ.

2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს). მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

• ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს „აისი“ ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

შპს აისი

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დამკვეთების აღკვეთის შესახებ შეფასებისას.

• უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის კურსები	დოლარი	ევრო
31.12.2022	2.7020	2.8844
31.12.2023	2.6894	2.9753
31.12.2024	2.8068	2.9306

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ ხარჯების კატეგორიაში.

შპს აისი

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ოფისის აღწურვილობა	10 წელი
ავტომობილები	10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	10 წელი

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

- არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურებით.

შპს აისი

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, ასევე უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული მომსახურების ვადა.

ისეთი არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადა, რომლებიც წარმოქმნილია სახელშეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელშეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადას, მაგრამ შესაძლოა იყოს უფრო მცირე, გამომდინარე იქედან, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს საწარმო ამ აქტივის გამოყენებას.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების ან გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან არ გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

- **საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

(ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან

(ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

შპს აისი

საწარმოს მიერ ამენებული საინვესტიციო ქონების თავდაპირველად აღიარებული თვითღირებულებისთვის მოქმედებს ძირითადი საშუალებისთვის დადგენილი სტანდარტი.

შემდგომი შეფასება

როდესაც საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეწონილი დანახარჯებისა და ძალისხმეების გარეშე, საინვესტიციო ქონება ფასდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. რეალური ღირებულების ცვლილება აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. სხვა შემთხვევაში საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

- **ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

- **მარაგები**

მარაგები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომი აღიარება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან, ამასთანავე სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

შპს აისი

მარაგების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს მიერ ხორციელდება მარაგის გაუფასურების ტესტირება.

მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. მარაგის გაუფასურების შემთხვევაში, მარაგი უნდა შეფასდეს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარდეს გაუფასურების ზარალი.

- **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება/ზარალში.

- **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფულადი სახსრები შედგება საღაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

- **ფინანსური ინსტრუმენტი**

ფინანსური ინსტრუმენტებში მოიაზრება, ფულადი სახსრები, სავალო ინსტრუმენტები (ანგარიში, თამასუქი, სასესხო მოთხოვნები და ვალდებულებები), სესხის მიღების ვალდებულება.

- **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

შპს აისი

საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალ ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

ბ) გამოკლებული ძირი თანხის დაფასარად გადახდილი თანხები;

გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველად აღიარებულ და დასაფა თანხებს შორის სხვაობის მიმართ; და

დ) გამოკლებული ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებლო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანი გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეწყდეს, როდესაც ის შესრუდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

- **ანარიცხები და პირობით ვალდებულებები**

ანარიცხი აღიარდება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა ვიდრე არ მოხდება), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანარიცხი აღიარდება ვალდებულებად და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თანხა, რომლითაც ანარიცხი აღიარდება, არის იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც ანარიცხი მოიცავს მრავალრიცხოვან ელემენტებს, ანარიცხის შეფასებული თანხა ასახავს ყველა შესაძლო შედეგის საშუალო შეწონილ სიდიდეს, რომელიც შეწონილია მათი გასვლის ალბათობებით. თუ ანარიცხი წარმოიშობა ერთი ვალდებულებიდან, კონკრეტული ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის საუკეთესო შეფასება არის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ინდივიდუალური შედეგი.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითია, ანარიცხის ოდენობა იქნება იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად.

შემდგომი შეფასება

საწარმო ანარიცხის საპირისპიროდ ასახავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რისთვისაც თავდაპირველად აღიარდა ანარიცხი.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხდება ანარიცხები და კორექტირდება ისინი რათა მასში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით. წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირების თანხა აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ანარიცხი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის თვითღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს ანარიცხის აღიარების კრიტერიუმებს.

არსებობს პირობითი ვალდებულების ორი ტიპი:

შპს აისი

ა) სავარაუდო ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს

ბ) მიმდინარე ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი ან ვალდებულების სიდიდის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

- იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. შემთხვევები, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად განაპირობებენ იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად მოიცავს:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

არსებობს დამატებითი კრიტერიუმები, რომელთა არსებობა დამოუკიდებლად ან სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე შეიძლება განაპირობებდეს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად:

ა) თუ მოიჯარეს შეუძლია იჯარის შეწყვეტა, მაგრამ მას დაეკისრება ზარალის ანაზღაურება, რომელსაც მეიჯარე მიიღებს იჯარის გაუქმების შედეგად;

ბ) საიჯარო აქტივის ნარჩენი ღირებულების ცვალებადობის შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს იჯარის ვადის ბოლოს მიიღებს მოიჯარე (მაგალითად, საიჯარო გადასახდელის ფასდაკლების სახით, რომელიც იჯარის ვადის ბოლოს აქტივის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების დიდი ნაწილის ტოლია); და

გ) მოიჯარეს შეუძლია იჯარის გაგრძელება მეორადი (განახლებული) პერიოდით, საბაზრო საიჯარო ქირაზე მნიშვნელოვნად ნაკლები საიჯარო გადასახდელით

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმები ყოველთვის არ არის გადამწყვეტი. თუ სხვა ნიშნები აშკარად მიუთითებს, რომ საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული

შპს აისი

ფაქტობრივად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, მაშინ ასეთი იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ჩვეულებრივი.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

მოიჯარეფინანსური იჯარის თავდაპირველი აღიარება

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულია მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური იჯარის შემდგომი შეფასება

მოიჯარე მინიმალურ საიჯარო გადასახდელებს ანაწილებს დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხედით. მოიჯარე იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში ფინანსური ხარჯები თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ანაწილებს იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

ფინანსური იჯარის ცვეთის დარიცხვა

ფინანსური იჯარით აღებულ აქტივს მოიჯარე ცვეთას არიცხვას ძირითადი საშუალების/არამატერიალური აქტივის მოთხოვნების შესაბამისად, იმისდა მიხედვით ფინანსური იჯარა რა ტიპის აქტივს წარმოადგენს.

თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმენა, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას, აქტივი მთლიანად ჩამოიწერება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. ასევე, მოიჯარე ყოველ საანგარიშგებო თარიღისათვის ამოწმებს გაუფასურებულია თუ არა ფინანსური იჯარით აღებული აქტივი.

შპს აისი

მეიჯარე

ფინანსური იჯარის თავდაპირველი აღიარება

მეიჯარე ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული აქტივებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარადგენს, როგორც მოთხოვნას, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია არის შემდეგი ორი სიდიდის ერთობლიობა:

- ა) ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები; და
- ბ) მეიჯარის სასარგებლოდ დარიცხული მთელი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება.

ნებისმიერი ფინანსური იჯარის დროს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მეიჯარე მწარმოებელი ან დილერია, თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) ჩაირთვება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის თანხას.

ფინანსური იჯარის შემდგომი შეფასება

ფინანსური შემოსავლის აღიარება ეფუძნება ისეთ გრაფიკს, რომელიც ასახავს ფინანსურ იჯარაში მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები, მომსახურების დანახარჯების გამოქვითვით, დაირიცხება მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის საპირისპიროდ, რათა აისახოს როგორც ძირი თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) ინვესტიციის თანხის განსაზღვრისათვის გამოყენებული, შეფასებითი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, უნდა გადაისინჯოს იჯარის ვადის განმავლობაში შემოსავლის განაწილების წესი და ადრე დარიცხული თანხების ნებისმიერი შემცირება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს.

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარე:

მეიჯარე საიჯარო შემოსავალში აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

მეიჯარე ხარჯის სახით აღიარებს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, ცვეთას. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტური უნდა იყოს სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

იმის დასადგენად გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარემ უნდა იხელმძღვანელოს აქტივების გაუფასურების სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.

ჩვეულებრივი იჯარის დროს მოიჯარე:

შპს აისი

მოიჯარე საიჯარო გადასახდელებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება), ხარჯად აღიარებს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

- **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან მოწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან გადასახდელი თანხები. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

კრედიტორული და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის გადასახდელი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

- **ამონაგები**

ამონაგები აღიარდება სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება სავაჭრო ფასდათმობით, ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულით ფასდათმობით.

სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შპს აისი

მომსახურების გაწვიდან მიღებული ამონაგები

მომსახურების გაწვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწვის შედეგის საიმედოდ შეფასება და ამონაგები აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მომსახურების გაწვის შედეგის საიმედოდ შეფასება ნიშნავს, რომ კმაყოფილდებოდა ყველა შემდეგი პირობა:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

• ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ხარჯების სიდიდე შეფასებულია საიმედოდ და წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის შედეგად, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრებზე გაცემულ განაწილებასთან.

ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და თავიანთი შინაარსის მიხედვით მიეკუთვნებიან საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს. ზარალი აღირიცხება ცალკე მუხლად.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევი) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკუროს სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზენორმიუ დანაკარგებს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

• გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იხეგრება. მოგების გადასახადით დაიხეგრება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის

შპს აისი

გაცემის მომენტში განაწილებული მოგება. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

ა) როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებით ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებული ღირებულების დამატებითი გადასახადის აღიარება ხდება იმ მოვლენაზე, რომელიც უფრო ადრე მოხდა:

ა) კლიენტებისგან მოთხოვნის ამოღება;

ბ) კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

- ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამჟღავნებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო). თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ფასდება თავად ურთიერთობის შინაარსი და არამარტო მისი სამართლებრივი ფორმა.

თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ. სათავო საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

შპს აისი

ა) სამეურნეო ოპერაციების თანხებს;

ბ) დაუფარავი ნაშთების თანხას;

გ) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საექვო ვალების ანარიცხებს; და

დ) დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საექვო ვალებთან დაკავშირებით მოცემული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ხარჯებს.

• საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც ეს მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ.

არსებობს ორი ტიპის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.

აღიარება და შეფასება

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.

• წინა პერიოდის შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ იქნა გამოყენებული, ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

(ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და

(ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომები, საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევები.

საწარმომ რეტროსპექტულად ასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომას მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში, შემდეგნაირად:

ა) იმ წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდების შესადარისი თანხების გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან

შპს აისი

ბ) თუ შეცდომა დაშვებული იყო წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულ პერიოდამდე, ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით.

როდესაც შეუძლებელია შეცდომის გავლენის განსაზღვრა ერთი ან მეტი წინა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, საწარმო ახდებს ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებას, რომლისთვისაც შესაძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშების განხორციელება.

4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის, ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შპს აისი

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა-ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მსუბუქი ავტომობილები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
<u>ღირებულება</u>								
31/12/2020-ის მდგომარეობით	2,680,256	3,817,949	6,893,211	101,986	768,731	436,314	1,672,382	16,370,830
მიღება	-	1,107,349.92	129,077	10,658	6,626	286,343	245,808	1,785,863
შიდა ჯგუფური გადაადგილება	-	7,022,288	(7,022,288)	-	-	-	-	-
31/12/2021-ის მდგომარეობით	2,680,256	11,947,588	-	112,643	775,358	722,657	1,918,191	18,156,693
მიღება	-	25,154	-	-	192,762	30,965	90,545	339,426
31/12/2022-ის მდგომარეობით	2,680,256	11,972,742	-	112,643	968,120	753,622	2,008,736	18,496,119
მიღება	-	372,410	276,517	16,810	1,740	35,597	117,534	820,608
გასვლა	-	-	(276,517)	(10,658)	-	-	-	(287,175)
31/12/2023-ის მდგომარეობით	2,680,256	12,345,152	-	118,796	969,860	789,219	2,126,270	19,029,552
მიღება	-	51,120	-	-	-	84,432	17,629	153,182
გასვლა	-	-	-	-	-	(6,277)	(15,190)	(21,468)
31/12/2024-ის მდგომარეობით	2,680,256	12,396,272	-	118,796	969,860	867,374	2,128,709	19,161,266
<u>დაგროვილი</u>								
<u>ცვრთა</u>								სულ
31/12/2020-ის მდგომარეობით	-	593,863		31,446	246,669	56,111	255,959	1,184,048

წლიური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

შპს აისი

წლიური ცვეტა	-	147,050		8,740	42,055	121,421	222,119	541,384
31/12/2021-ის მდგომარეობით	-	740,913	-	40,186	288,724	177,532	478,078	1,725,432
წლიური ცვეტა	-	309,775		9,741	125,224	115,404	327,091	887,235
31/12/2022-ის მდგომარეობით	-	1,050,687	-	49,926	413,948	292,937	805,169	2,612,667
წლიური ცვეტა	-	310,786	-	10,193	127,530	114,655	332,265	895,429
გასული აქტივების ცვეტა	-	-	-	(1,220)	-	-	-	(1,220)
31/12/2023-ის მდგომარეობით	-	1,361,474	-	58,900	541,478	407,592	1,137,434	3,506,876
წლიური ცვეტა	-	328,921	-	10,393	125,967	125,208	354,571	945,060
გასული აქტივების ცვეტა	-	-	-	-	-	(3,778)	(11,046)	(14,824)
31/12/2024-ის მდგომარეობით	-	1,690,395	-	69,292	667,445	529,022	1,480,959	4,437,112

საბალანსო
ღირებულება:

31/12/2020-ის მდგომარეობით	2,680,256	3,224,087	6,893,211	70,540	522,062	380,202	1,416,424	15,186,783
31/12/2021-ის მდგომარეობით	2,680,256	11,206,675	-	72,458	486,634	545,125	1,440,113	16,431,261
31/12/2022-ის მდგომარეობით	2,680,256	10,922,055	-	62,717	554,172	460,685	1,203,567	15,883,452
31/12/2023-ის მდგომარეობით	2,680,256	10,983,679	-	59,896	428,382	381,627	988,836	15,522,676
31/12/2024-ის მდგომარეობით	2,680,256	10,705,878	-	49,503	302,415	338,352	647,750	14,724,154

შპს აისი

	არამატერიალური აქტივები	სულ
	GEL	
ღირებულება		
31/12/2020-ის მდგომარეობით	6,313	6,313
მიღება	198,816	198,816
გასვლა	-	-
31/12/2021-ის მდგომარეობით	205,128	205,128
მიღება	2,723	2,723
გასვლა	-	-
31/12/2022-ის მდგომარეობით	207,851	207,851
მიღება	-	-
გასვლა	-	-
31/12/2023-ის მდგომარეობით	207,851	207,851
მიღება	-	-
გასვლა	-	-
31/12/2024-ის მდგომარეობით	207,851	207,851
დაგროვილი ამორტიზაცია		სულ
31/12/2020-ის მდგომარეობით	1,507	1,507
წლიური ცვეთა	6,055	6,055
31/12/2021-ის მდგომარეობით	7,562	7,562
წლიური ცვეთა	13,573	13,573
31/12/2022-ის მდგომარეობით	21,135	21,135
წლიური ცვეთა	13,689	13,689
31/12/2023-ის მდგომარეობით	34,824	34,824
წლიური ცვეთა	13,736	13,736
31/12/2024-ის მდგომარეობით	48,560	48,560
საბალანსო ღირებულება:		
31/12/2020-ის მდგომარეობით	4,805	4,805
31/12/2021-ის მდგომარეობით	197,566	197,566
31/12/2022-ის მდგომარეობით	186,716	186,716
31/12/2023-ის მდგომარეობით	173,027	173,027
31/12/2024-ის მდგომარეობით	159,292	159,292

მპს აისი

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მარაგები	2024	2023 გადაანგარიშებული
6	სასაქონლო მატერიალური მარაგები თბილისის ფილიალისთვის	713,234	723,006
	სასაქონლო მატერიალური მარაგები ბათუმის ფილიალისთვის	37,498	32,507
	სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	104,260	25,443
	ჯამი	854,992	780,957

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023 გადაანგარიშებული
7	სავაჭრო მოთხოვნები	192,558	178,756
	გადახდილი ავანსი	49,229	81,034
	სხვა მოთხოვნები	27,038	17,020
	ჯამი	268,824	276,809

8. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულადი სახსრები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ფული და ფულადი სახსრები	2024	2023 გადაანგარიშებული
8	ნაღდი ფული სალაროში	10,349	22,498
	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	84,524	124,022
	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	107,977	195,281
	ჯამი	202,850	341,801

შპს აისი

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023 გადაანგარიშებული
9	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	386,641	262,502
	მიღებული ავანსები	108,817	145,599
	გადასახდელი ხელფასი	15,740	10,773
	ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	13,279	43,824
	სხვა ვალდებულებები	11,621	6,190
	ჯამი	536,098	468,888

10. გრძელვადიანი სესხი

გრძელვადიანი სესხი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სესხი	2024	2023 გადაანგარიშებული
10	გრძელვადიანი სესხი	13,519,448	13,476,450
	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,042,971	1,816,899
	ჯამი	14,562,420	15,293,348

11. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ამონაგები	2024	2023 გადაანგარიშებული
11	თბილისის ფილიალიდან მიღებული ამონაგები	7,612,606	6,134,968
	ბათუმის ფილიალიდან მიღებული ამონაგები	1,216,109	1,180,253
	ჯამი	8,828,715	7,315,221

12. თვითღირებულება

თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს აისი

12	თვითღირებულება	2024	2023 გადაანგარიშებული
	ცვეთა	328,921	410,820
	შრომის ანაზღაურება	2,177,757	1,630,136
	სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,125,380	930,005
	ჯამი	3,632,058	2,970,961

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

12	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2024	2023 გადაანგარიშებული
	შრომის ანაზღაურება	705,262	869,164
	კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	661,351	562,610
	ცვეთა და ამორტიზაცია	629,874	508,337
	სხვა საერთო ხარჯები	2,075,314	1,527,688
	ჯამი	4,071,801	3,467,799

13. რისკების მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. ძირითადი რისკის ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

- საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი

კომპანიას აქვს ზოგიერთი ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად აქვს საკურსო სხვაობების რისკი. საკურსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის, სესხებისა და კრედიტების გამო. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან მოცემულია ცხრილის სახით:

- საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური

შპს აისი

მახასიათებლებით. ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

• ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულებების ვადაში დასაფარად. საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს არსებული ლიკვიდურობის კოეფიციენტები მოცემულია ცხრილის სახით:

	2024	2023
მიმდინარე აქტივები	1,407,911	1,614,216
მიმდინარე ვალდებულებები	1,579,069	2,285,787
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.89	0.71

მმართველობითი ანგარიშება



დეკემბერი 2024

RAMADA[®]
BY WYNDHAM

შპს აისი

მმართველობითი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია	3
ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სამომავლო გეგმების შესახებ.....	3
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ.....	3
კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა.....	3
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ძირითადი არაფინანსური ინდიკატორის ანალიზი:.....	6
ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:	6
დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	7
2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია

შპს „აისი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 17 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 445395153.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სამომავლო გეგმების შესახებ

კომპანიის საკუთრებაში არის ორი სასტუმრო ბათუმსა და თბილისში. თბილისში არსებული სასტუმრო ფუნქციონირებს საერთაშორისო სასტუმროთა ქსელის RAMADA BY WYNDHAM-ის სახელით. ბათუმის სასტუმრო მოიცავს 56 ნომერს, მათ შორის: 35 სტანდარტული, 3 კომფორტ სვიტი, 4 საოჯახო, 7 სუპერიორი, 2 ჯუნიორ სვიტი და 5 ეკონომი ტიპის ნომერი. თბილისის სასტუმროში არის სულ 108 ნომერი, მათ შორის: 54 Standard King, 29 Standard Twin, 7 Standard Triple, 10 Standard Family და 8 Deluxe ტიპის ნომრები. სასტუმროში Ramada by Wyndham Tbilisi Old City ასევე არის რესტორანი „განდაგანა“, სპა ცენტრი და საკონფერენციო დარბაზი.

სამომავლოდ კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს სასტუმროებში კიდევ უფრო გაზარდოს კომფორტი და დამატებითი შესაძლებლობები. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ახალი ბაზრების მოძიებას ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან როგორც მაღალ ასევე საშუალო სეზონზე.

რაც შეეხება დაბალ სეზონს, ხელმძღვანელობა ორიენტირებული იქნება ადგილობრივ კორპორატიულ ბაზარზე.

2024 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 152 ადამიანი.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები.

კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევების შემუშავებისა და განვითარების აქტივობებში.

შპს „აისი“

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

გრძელვადიანი აქტივები	2024	2023	2022
ძირითადი საშუალებები	14,724,154	15,522,676	15,883,452
არამატერიალური აქტივები	159,292	173,027	186,716
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	14,883,445	15,695,703	16,070,168
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	854,992	780,957	659,948
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	268,824	276,809	606,864
საგადასახადო აქტივი	81,246	214,649	42,349
ფული და ფულადი სახსრები	202,850	341,801	399,279
მიმდინარე აქტივების ჯამი	1,407,911	1,614,216	1,708,440
სულ აქტივები	16,291,357	17,309,919	17,778,608
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,430,747	2,764,958	2,814,614
გაუნაწილებელი მოგება	(1,217,275)	(368,582)	(4,007,418)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	(20,632)	(848,693)	3,638,836
კაპიტალის ჯამი	1,192,840	1,547,683	2,446,032
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13,519,448	13,476,450	14,814,574
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,519,448	13,476,450	14,814,574
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	536,098	468,888	248,605
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,042,971	1,816,899	269,397
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,579,069	2,285,787	518,002
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	16,291,357	17,309,919	17,778,608

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	8,828,715	7,315,221
თვითღირებულება	(3,632,058)	(2,970,961)
საერთო მოგება	5,196,657	4,344,259
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(163,971)	(205,017)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	(4,071,801)	(3,467,792)
საოპერაციო მოგება	960,885	671,450
არასაოპერაციო შემოსავალი	127,601	47,336
არასაოპერაციო ხარჯი	(49,806)	(30,073)
ფინანსური ხარჯი	(1,218,135)	(1,082,275)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	158,823	(455,131)
მოგება დაბეგვრამდე	(20,632)	(848,693)
მთლიანი სრული შემოსავალი	(20,632)	(848,693)

ძირითადი არაფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2024		2023	
	Ramada by Wyndham Tbilisi Old City	Aisi Batumi Hotel	Ramada by Wyndham Tbilisi Old City	Aisi Batumi Hotel
დაკავებული ოთახები	28,469	9,029	25,361	8,812
დაკავებული ოთახები %	157.91%	17.30%	64.71%	43.25%
ოთახების საშუალო გასაყიდი ფასი	159.5973789	109.84	1080.41	120
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	152		277	

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2024	2023
მიმდინარე აქტივები	1,407,911	1,614,216
მიმდინარე ვალდებულებები	1,579,069	2,285,787
მიმდინარე ლიკვიდობა	0.89	0.71

2024 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 0.89-მდე – მდგომარეობა გაუმჯობესდა ვალდებულებების შემცირების ხარჯზე, თუმცა სექტორის სტანდარტულ მაჩვენებელზე მცირეა (<1.0). სასურველია კომპანიას მიერ მოკლევადიანი ვალდებულებებისა და ფულადი ნაკადების უკეთესი მართვა.

	2024	2023
მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით)	552,920	833,259
მიმდინარე ვალდებულებები	1,579,069	2,285,787
სწრაფი ლიკვიდობა	0.35	0.36

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი პრაქტიკულად უცვლელია, მიუხედავად იმისა რომ 2024 წელში განხორციელდა სესხის რესტრუქტურისა. აღნიშნული მიუთითებს გადახდისუნარიანობის რისკზე – კომპანიას უჭირს მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა ლიკვიდური რესურსებით (ნაღდი ფული, მოთხოვნები). საჭიროა ფულადი სახსრებისა და მოთხოვნების ზრდა ან ვალდებულებების დამატებითი შემცირება.

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	268,824	276,809
ამონაგები	8,828,715	7,315,221
დებიტორული დავალიანებების ბრუნვის პერიოდი	11.11	13.81

დებიტორული დავალიანებების ბრუნვის მაჩვენებელი გაუმჯობესდა — მოთხოვნები უფრო სწრაფად გარდაიქმნება ნაღდ ფულად სახსრებში, რაც ზრდის ლიკვიდობას და ამცირებს კრედიტის რისკს. აღნიშნული მაჩვენებელი სრულად შეესაბამება ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკას.

	2024	2023
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)	960,885	671,450
ამონაგები	8,828,715	7,315,221
საოპერაციო მოგება/ (ზარალის) კოეფიციენტი	0.11	0.09

კომპანიის საოპერაციო მომგებიანობა გაუმჯობესდა: მოგება ამონაგებთან მიმართებით გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით. ეს პოზიტიური ტენდენციაა, რაც მიუთითებს ოპერაციების მომგებიანობაზე.

	2024	2023
წმინდა მოგება (ზარალი)	-20,632	-848,693
ამონაგები	8,828,715	7,315,221
წმინდა მოგების (ზარალის) კოეფიციენტი	0.00	-0.12

2024 წლის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 960,885, თუმცა კომპანიას გააჩნია მაღალი არასაოპერაციო ხარჯები (საპროცენტო, კურსთაშორისი სხვაობები, სხვა არასაოპერაციო ფაქტორები), რის შედეგადაც კომპანია ზარალზეა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია 2024 წელში ზარალზეა, აღნიშნული შედეგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და კომპანია თითქმის წერტილოვანი მოგების დონეზეა (break-even დონე).

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს ჩვენს კომპანიაში არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოო მიზნები და პოლიტიკა რისკებთან მიმართებაში

სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. აქედან გამომდინარე ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი.

კონკურენციის რისკი - რეგიონში საკმაოდ მომრავლდა სასტუმრო ობიექტები (სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები); ამენდა და ექსპლუატაციაში გაეშვა (ფუნქციონირებს) ასეულობით ახალი სასტუმრო ნომერი, რაც სასტუმრო მომსახურების ფასებზე უარყოფითად მოქმედებს. ამ სფეროში უკვე დიდია კონკურენცია, რაც თავისთავად წარმოადგენს გარკვეულ რისკებს გასაწევ ხარჯებთან და მისაღებ შემოსავლებთან მიმართებაში; კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს ფასების პოლიტიკით, მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესების, რეკლამის, მომსახურების მრავალფეროვნების,

ხარჯების ოპტიმიზაციის, ცალკეულ პროექტებში მონაწილეობის და სხვა მთელი რიგი ღონისძიებების ხარჯზე მაქსიმალურად შეამციროს ხსენებული რისკების უარყოფითი გავლენა კომპანიის შემოსავლებზე.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე და მათ მართვაზე იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი



ამირან მახარაძე

შპს აისი

მმართველობითი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია	3
ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სამომავლო გეგმების შესახებ.....	3
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ.....	3
კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა	3
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ძირითადი არაფინანსური ინდიკატორის ანალიზი:.....	6
ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:.....	6
დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	7
2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია

შპს „აისი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 17 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 445395153.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სამომავლო გეგმების შესახებ

კომპანიის საკუთრებაში არის ორი სასტუმრო ბათუმსა და თბილისში. თბილისში არსებული სასტუმრო ფუნქციონირებს საერთაშორისო სასტუმროთა ქსელის RAMADA BY WYNDHAM-ის სახელით. ბათუმის სასტუმრო მოიცავს 56 ნომერს, მათ შორის: 35 სტანდარტული, 3 კომფორტ სვიტი, 4 საოჯახო, 7 სუპერიორი, 2 ჯუნიორ სვიტი და 5 ეკონომი ტიპის ნომერი. თბილისის სასტუმროში არის სულ 108 ნომერი, მათ შორის: 54 Standard King, 29 Standard Twin, 7 Standard Triple, 10 Standard Family და 8 Deluxe ტიპის ნომრები. სასტუმროში Ramada by Wyndham Tbilisi Old City ასევე არის რესტორანი „განდაგანა“, სპა ცენტრი და საკონფერენციო დარბაზი.

სამომავლოდ კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს სასტუმროებში კიდევ უფრო გაზარდოს კომფორტი და დამატებითი შესაძლებლობები. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ახალი ბაზრების მოძიებას ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან როგორც მაღალ ასევე საშუალო სეზონზე.

რაც შეეხება დაბალ სეზონს, ხელმძღვანელობა ორიენტირებული იქნება ადგილობრივ კორპორატიულ ბაზარზე.

2024 წელს დასაქმებულია საშუალო რაოდენობა იყო 152 ადამიანი.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები.

კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევების შემუშავებისა და განვითარების აქტივობებში.

გრძელვადიანი აქტივები	2024	2023	2022
ძირითადი საშუალებები	14,724,154	15,522,676	15,883,452
არამატერიალური აქტივები	159,292	173,027	186,716
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	14,883,445	15,695,703	16,070,168
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	854,992	780,957	659,948
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	268,824	276,809	606,864
საგადასახადო აქტივი	81,246	214,649	42,349
ფული და ფულადი სახსრები	202,850	341,801	399,279
მიმდინარე აქტივების ჯამი	1,407,911	1,614,216	1,708,440
სულ აქტივები	16,291,357	17,309,919	17,778,608
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,430,747	2,764,958	2,814,614
გაუნაწილებელი მოგება	(1,217,275)	(368,582)	(4,007,418)
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	(20,632)	(848,693)	3,638,836
კაპიტალის ჯამი	1,192,840	1,547,683	2,446,032
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13,519,448	13,476,450	14,814,574
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,519,448	13,476,450	14,814,574
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	536,098	468,888	248,605
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,042,971	1,816,899	269,397
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,579,069	2,285,787	518,002
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	16,291,357	17,309,919	17,778,608

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	8,828,715	7,315,221
თვითღირებულება	(3,632,058)	(2,970,961)
<i>საერთო მოგება</i>	<i>5,196,657</i>	<i>4,344,259</i>
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(163,971)	(205,017)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	(4,071,801)	(3,467,792)
<i>საოპერაციო მოგება</i>	<i>960,885</i>	<i>671,450</i>
არასაოპერაციო შემოსავალი	127,601	47,336
არასაოპერაციო ხარჯი	(49,806)	(30,073)
ფინანსური ხარჯი	(1,218,135)	(1,082,275)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	158,823	(455,131)
<i>მოგება დაბეგვრამდე</i>	<i>(20,632)</i>	<i>(848,693)</i>
<i>მთლიანი სრული შემოსავალი</i>	<i>(20,632)</i>	<i>(848,693)</i>

ძირითადი არაფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2024		2023	
	Ramada by Wyndham Tbilisi Old City	Aisi Batumi Hotel	Ramada by Wyndham Tbilisi Old City	Aisi Batumi Hotel
დაკავებული ოთახები	28,469	9,029	25,361	8,812
დაკავებული ოთახები %	157.91%	17.30%	64.71%	43.25%
ოთახების საშუალო გასაყიდი ფასი	159.5973789	109.84	1080.41	120
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	152		277	

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2024	2023
მიმდინარე აქტივები	1,407,911	1,614,216
მიმდინარე ვალდებულებები	1,579,069	2,285,787
მიმდინარე ლიკვიდობა	0.89	0.71

2024 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 0.89-მდე – მდგომარეობა გაუმჯობესდა ვალდებულებების შემცირების ხარჯზე, თუმცა სექტორის სტანდარტულ მაჩვენებელზე მცირეა (<1.0). სასურველია კომპანიას მიერ მოკლევადიანი ვალდებულებებისა და ფულადი ნაკადების უკეთესი მართვა.

	2024	2023
მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით)	552,920	833,259
მიმდინარე ვალდებულებები	1,579,069	2,285,787
სწრაფი ლიკვიდობა	0.35	0.36

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი პრაქტიკულად უცვლელია, მიუხედავად იმისა რომ 2024 წელში განხორციელდა სესხის რესტრუქტურზაცია. აღნიშნული მიუთითებს გადახდისუნარიანობის რისკზე – კომპანიას უჭირს მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა ლიკვიდური რესურსებით (ნაღდი ფული, მოთხოვნები). საჭიროა ფულადი სახსრებისა და მოთხოვნების ზრდა ან ვალდებულებების დამატებითი შემცირება.

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	268,824	276,809
ამონაგები	8,828,715	7,315,221
დებიტორული დავალიანებების ბრუნვის პერიოდი	11.11	13.81

დებიტორული დავალიანებების ბრუნვის მაჩვენებელი გაუმჯობესდა — მოთხოვნები უფრო სწრაფად გარდაიქმნება ნაღდ ფულად სახსრებში, რაც ზრდის ლიკვიდობას და ამცირებს კრედიტის რისკს. აღნიშნული მაჩვენებელი სრულად შეესაბამება ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკას.

	2024	2023
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)	960,885	671,450
ამონაგები	8,828,715	7,315,221
საოპერაციო მოგება/ (ზარალის) კოეფიციენტი	0.11	0.09

კომპანიის საოპერაციო მომგებიანობა გაუმჯობესდა: მოგება ამონაგებთან მიმართებით გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით. ეს პოზიტიური ტენდენციაა, რაც მიუთითებს ოპერაციების მომგებიანობაზე.

	2024	2023
წმინდა მოგება (ზარალი)	-20,632	-848,693
ამონაგები	8,828,715	7,315,221
წმინდა მოგების (ზარალის) კოეფიციენტი	0.00	-0.12

2024 წლის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 960,885, თუმცა კომპანიას გააჩნია მაღალი არასაოპერაციო ხარჯები (საპროცენტო, კურსთაშორისი სხვაობები, სხვა არასაოპერაციო ფაქტორები), რის შედეგადაც კომპანია ზარალზეა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია 2024 წელში ზარალზეა, აღნიშნული შედეგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და კომპანია თითქმის წერტილოვანი მოგების ღონეზეა (break-even ღონე).

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს ჩვენს კომპანიაში არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოო მიზნები და პოლიტიკა რისკებთან მიმართებაში

სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. აქედან გამომდინარე ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი.

კონკურენციის რისკი - რეგიონში საკმაოდ მომრავლდა სასტუმრო ობიექტები (სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები); ამენდა და ექსპლუატაციაში გაეშვა (ფუნქციონირებს) ასეულობით ახალი სასტუმრო ნომერი, რაც სასტუმრო მომსახურების ფასებზე უარყოფითად მოქმედებს. ამ სფეროში უკვე დიდია კონკურენცია, რაც თავისთავად წარმოადგენს გარკვეულ რისკებს გასაწევ ხარჯებთან და მისაღებ შემოსავლებთან მიმართებაში; კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს ფასების პოლიტიკით, მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესების, რეკლამის, მომსახურების მრავალფეროვნების,

ხარჯების ოპტიმიზაციის, ცალკეულ პროექტებში მონაწილეობის და სხვა მთელი რიგი ღონისძიებების ხარჯზე მაქსიმალურად შეამციროს ხსენებული რისკების უარყოფითი გავლენა კომპანიის შემოსავლებზე.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე და მათ მართვაზე იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი

ამირან მახარაძე